



„საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო“ სამოქალაქო საბჭოების მიერ 2019 წელს იმართებული გამოვლენილი საჭიროებები



„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ სამოქალაქო საბჭოების წევრებმა იმერეთის 3 მუნიციპალიტეტის (წყალტუბო, ტყიბული, ქუთაისი) 10 დასახლებაში 40-ზე მეტი ინფრასტრუქტურული პრობლემა/საჭიროება გამოავლინეს.

ჩვენი ორგანიზაციის სამოქალაქო საბჭოების წევრების მიერ გამოკითხული მოქალაქეები ისეთ საჭიროებებსა და პრობლემებს ასახელებენ, როგორცაა: ნაგავსაყრელების მოწესრიგება ქალაქებში და ნაგავშემკრები კონტეინერების დადგმა სოფლებში, გარეგანათების, შიდა გზების, სანიაღვრე არხების მოწესრიგება, გაბიფიცირების სამუშაოების დაწყება, საზოგადოებრივი ტრანსპორტის სისტემის მოწესრიგება და ახალი ტრანსპორტის დამატება მოსახლეობის საჭიროებებზე მორგებული გრაფიკით, რეკრეაციული ტერიტორიების მოწესრიგება და ა.შ.

სამოქალაქო საბჭოები ჩვენი ორგანიზაციის ინიციატივით შექმნილი მოქალაქეთა არაფორმალური გაერთიანებებია, რომლის მიზანია უშუალოდ ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობითა და ჩვენი ორგანიზაციის შუამდგომლობით მოგვარდეს მუნიციპალიტეტებში არსებული პრობლემები.

აღსანიშნავია, რომ იმერეთის მუნიციპალიტეტებში ორგანიზაციის სამოქალაქო საბჭოების წევრების მიერ 2018 წელს 38 ინფრასტრუქტურული პრობლემა/საჭიროება გამოვლინდა, რომელთაგან 28 სრულად ან ნაწილობრივ აისახა 2019 წლის ადგილობრივ ბიუჯეტებში. „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ სამოქალაქო საბჭოების მიერ განული საქმიანობის ანგარიშს საზოგადოებას უახლოეს მომავალში წარუდგენს.

ამ დროისთვის აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა ქუთაისის, წყალტუბოსა და ტყიბულის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების პროექტებზე.

შესაბამისად, ჩვენი სამოქალაქო საბჭოების მიერ გამოვლენილი არსებული პრობლემების დოკუმენტი, შესაძლოა, მნიშვნელოვანი წყარო იყოს ადგილობრივი მუნიციპალიტეტებისთვის ამა თუ იმ დასახლებაში არსებული საჭიროებების იდენტიფიცირებისთვის.

ამ მიზნით წარმოგიდგენთ მოქალაქეების მიერ დასახელებული პრობლემების ჩამონათვალს:

იმერეთი

წყალტუბო, სოფალი ჩიოხი	
პრობლემის ტიპი	მოსახლეობის მოთხოვნა
გარემოს დაცვა	ქარსაცავი ზოლების აღდგენა სახნავ-სათეს ნაკვეთებთან
მოწესრიგებელი საგზაო ინფრასტრუქტურა	გზის სახიფათო მონაკვეთზე „საგზაო სარკის“ (საგზაო მოძრაობის დამარეგულირებელი ნიშნულის) დადგმა
გაუმართავი სასმელი წყლის პრობლემა	წყლის მინოდების სისტემის მოწყობა, წყლის რეგერვუარების განმედა

წყალტუბო, სოფალი ხოშვი	
პრობლემის ტიპი	მოსახლეობის მოთხოვნა
მოწესრიგებელი საზოგადოებრივი ტრასპორტი	საზოგადოებრივი ტრასპორტის მოძრაობის გრაფიკის მოწესრიგება

წყალტუბო, სოფალი ჟონეთი	
პრობლემის ტიპი	მოსახლეობის მოთხოვნა
უსაფრთხოების ნორმების დაცვა	გრანიტის მოპოვებისას უსაფრთხოების წესების დაცვის მონიტორინგი

წყალტუბო, სოფალი ზანათი	
პრობლემის ტიპი	მოსახლეობის მოთხოვნა
მოწესრიგებელი ინფრასტრუქტურა	წყლის გაყვანილობის მოწყობა, წყლის რეგერვუარების განმედა

წყალტუბო	
პრობლემის ტიპი	მოსახლეობის მოთხოვნა
ანტისანიტარია	წყალტუბოს სოფლებში საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვების კონტეინერების განთავსება
მოწესრიგებელი ინფრასტრუქტურა	სანატორიუმში „სავანეს“ მიმდებარე საფეხმავლო ბილიკის რეაბილიტაცია, ტროტუარის ადაპტირება შშმ პირებისთვის, გარეგანათების მონტაჟი წყალტუბოს პარკის მარჯვენა ნაწილში ხიდების რეკონსტრუქცია და შშმ პირებისათვის ადაპტირება სანატორიუმ „სინათლის“ მიმდებარე განათების და საფეხმავლო ბილიკების (ტროტუარების) მოწესრიგება
მოწესრიგებელი ინფრასტრუქტურა	საკანალიზაციო სისტემის მოწესრიგება
მოწესრიგებელი ინფრასტრუქტურა	პირველ საჯარო სკოლასა და თერნალის დამაკავშირებელ მონაკვეთზე გზის საფარის რეაბილიტაცია შანიძის ქუჩის გზის საფარის მოწესრიგება 9 აპრილის ქუჩაზე გზის საფარის მოწესრიგება

ყვიბული, სოფალი გელათი	
პრობლემის ტიპი	მოსახლეობის მოთხოვნა
ადგილობრივი ბაღის აღმზრდელების შრომის ანაზღაურების გაზრდა	საბავშვო ბაღის აღმზრდელების შრომის ანაზღაურების გაზრდა
დასუფთავება	სასაფლაოს მიმდებარე ტერიტორიაზე ნარჩენების შეგროვების კონტეინერების განთავსება, ტერიტორიის დასუფთავება
მოწესრიგებელი ინფრასტრუქტურა	კანალიზაციის სისტემის მოწყობა გარე განათების მოწესრიგება მინი სტადიონის, საბავშვო მცირე ზომის ატრაქციონის, სკვერის განათებისა და სკამების დამონტაჟება ბიბლიოთეკის შენობის რეაბილიტაცია

ყვიბული, სოფალი მუსხია	
პრობლემის ტიპი	მოსახლეობის მოთხოვნა
მოწესრიგებელი ინფრასტრუქტურა	სკოლის მშენებლობის პროცესის დასრულება ზამთრის პერიოდში გზების განმედა

ყვიბული, სოფალი მინდიკორი	
პრობლემის ტიპი	მოსახლეობის მოთხოვნა
მოწესრიგებელი ინფრასტრუქტურა	სასმელი წყლის პრობლემის მოგვარება

ყვიბული	
პრობლემის ტიპი	მოსახლეობის მოთხოვნა
მოწესრიგებელი ინფრასტრუქტურა	ცირეკიდის ქუჩის გაბიფიცირება წერეთლის ქუჩის გაბიფიცირება

ქუთაისი	
პრობლემის ტიპი	მოსახლეობის მოთხოვნა
მოწესრიგებელი ინფრასტრუქტურა	ნიკვას ქუჩის ბოლოს მოქმედი ნაგავსაყრელის მოწესრიგება
მოწესრიგებელი ინფრასტრუქტურა	კუპრაძის ქუჩაზე საავადმყოფოს მიმდებარე ტერიტორიაზე სანიაღვრე სისტემის მოწესრიგება თაბუკაშვილის ქუჩაზე საფეხმავლო ბილიკების კეთილმოწყობა ნიკვას ქუჩა #15-ში კორპუსთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია და სადრენაჟე სისტემის მოწესრიგება ნიკვას ქუჩა #1/6 სპორტული მოედნის რეაბილიტაცია
საზოგადოებრივი ტრასპორტი	ქალაქის გამართული საზოგადოებრივი ტრანსპორტით უზრუნველყოფა და განრიგის კონტროლი ვაჟა-ფშაველას ქუჩაზე გზის საფარის მოსაწესრიგება

მნიშვნელოვანია, რომ მუნიციპალიტეტებმა ჩვენი სამოქალაქო საბჭოების წევრების მიერ იდენტიფიცირებული პრობლემების შესწავლა დროულად დაიწყონ, რათა მომავალი წლის ბიუჯეტში მათი გათვალისწინება მოესწროს. ორგანიზაციამ ადგილობრივ მუნიციპალიტეტებს შესაბამისი წერილებით უკვე მიმართა.